

ირინე ნაჭყებია

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

ევროპელ მოგზაურთა ცნობები თბილისის მოსახლეობის შესახებ (XIX საუკუნის მეორე ნახევარი)

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისში სხვადასხვა მიზნით ჩამოსულ ევროპელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს დედაქალაქის, თბილისის მოსახლეობის ეთნო-რელიგიური შემადგენლობის შესახებ. ამ ინფორმაციას მოგზაურები ქალაქის ქუჩებში, ბაზრებსა და ბაღებში ნანახის საფუძველზე გვაწვდიან, თბილისის ბაზარი კი ეთნოსებისა და ენების ბაზილონადაა დასახელებული, დაწვრილებითაა აღწერილი სხვადასხვა ხალხების სამოსი და საქმიანობა. მოგზაურთა ცნობების საფუძველზე სტატიაში წარმოდგენილია მასალა თბილისის მკვიდრი მოსახლეობის – ქართველების, სომხების, თათრების, სპარსელების და იქ XIX საუკუნის დასაწყისიდან დასახლებული რუსების, გერმანელებისა და ფრანგების ხასიათისა და საქმიანობის შესახებ. ფრანგი დიპლომატი ჟიულ პატენოტრი თბილისს სამართლიანად უწოდებდა ჰიბრიდულ ქალაქს, სადაც ერთმანეთში ყველაზე განსხვავებული ელემენტები ირეოდა, მაგრამ ერთმანეთს არ ერწყმოდა. ბელგიელი მოგზაური ქალის, კარლა სერენას თქმით, ტიპებისა და ინდივიდების მრავალფეროვნების გამო თბილისი კავკასიის რუკის ნიმუში იყო.

ამგვარად, XIX საუკუნის განმავლობაში თბილისი მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს ასრულებდა, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობდნენ, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ევროპელი მოგზაურების ცნობები არ არის დაზღვეული გარკვეული სუბიექტურობისგან, მათ თხზულებებში დაცული მასალა საქართველოს შესახებ მეტად ღირებული წყაროა.

საკვანძო სიტყვები: *ევროპელი მოგზაურები, თბილისის მოსახლეობა, ეთნიკური შემადგენლობა, საღაპარაკო ენები, მოსახლეობის საქმიანობა*

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში სხვადასხვა მიზნით ჩამოსულ ევროპელ მოგზაურთა თხზულებებში მეტად საინტერესო ცნობებია დაცული თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის შესახებ. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მოგზაურები თბილისს ორ – ძველ აღმოსავლურ და ახალ რუსულ-ევროპულ ქალაქად, 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი თბილისს სამ – ძველ აღმოსავლურ და ორ ევროპულ ქალაქად ყოფდნენ. ამგვარად, ევროპა საქართველოში მხოლოდ თბილისის ორ – გოლოვინის პროსპექტზე ერივანსკის მოედნის ჩათვლით და გერმანული კოლონიის უბნებში იყო წარმოდგენილი. ქალაქის ასე დაყოფა იმის მაჩვენებელია, რომ მისი მოსახლეობაც ჰეტეროგენური უნდა ყოფილიყო. ფრანგი პოეტი ანრი კანტელი თბილისს აზიისა და ევროპის

შესაყარს და მტკვარზე „უდარდელად მოკალათებულ ქალაქს“ უწოდებს, სადაც ოცი რელიგია, ოცი სხვადასხვა ეროვნების ხალხი ირეოდა და მოგზაურების გასაოცებლად თუ გასახარებლად, ყველაზე საინტერესო კონტრასტებიც ამ ქალაქში იყო თავმოყრილი¹.

თბილისი – მრავალეროვანი ქალაქი. უცხოელი მოგზაურები თბილისში ნანახ ხალხს იმის მიხედვით ასახელებდნენ, რასაც ქუჩებში, ბაზრებსა და ბაღებში ხედავდნენ. გერმანელი დიპლომატის, მაქს ფონ თილმანის, ბრიტანელი ჟურნალისტის – უოლტერ ბარტონ ჰარისისა და ცნობილი ფრანგი არქეოლოგის, ბარონ ჟოზე დე ბაის თქმით, თბილისში ევროპა თეატრის ანუ ერივანსკის მოედანზე მთავრდებოდა, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით კი აზია იყო, სადაც აღმოსავლური ცხოვრების ცენტრი – ბაზარი მდებარეობდა. თბილისის ვიზიტორი მოგზაურებისთვის ის პირველი ტურისტული მარშრუტი იყო. სადაც მოგზაური რაღაც ისეთი საინტერესო ნივთის აღმოჩენას ფიქრობდა, რაც მას აუცილებლად გააოცებდა.

ბაზარი ხალხების ჭეშმარიტი ბაბილონი იყო. იქ შეხვდებოდი კავკასიური ვაჭრობის მბრძანებელს, ხშირად უკვე ევროპულ სამოსში გამოწყობილ სომეხს, ქართველის მუდამ ხალისიან და ღვინისგან აწითლებულ სახეს, წითელწვერიანი თათარს უზარმაზარი ასტრახანული ფაფახით, გამხდარ, მაღალ სპარსელს ნაციონალურ გრძელ სამოსში თავზე წოწოლა ქუდით, უკანასკნელი პარიზული პეწით გამოპრანჭულ რუს ქალბატონს, თეთრ ვუალში გახვეულ ქართველ და სომეხ ქალს, მუსლიმი ქალის მუქ ლურჯ ჩადრს, *ჩერქეზკაში* გამოწყვპილ ჩერქეზს, ლამაზად ჩაცმულ ოსებს, ჩალმიან დაღესტნელებს შესანიშნავი იარაღით, მლიქვნელ ებრაელებს, ჩასკვნილ თუშებს თექის შავი ქუდით, ლეკებს მკვეთრად გამოკვეთილი პროფილითა და არწივისებრი ცხვირით, გერმანელ კოლონისტს თავის ძველმოდურ კოსტიუმში, რომლის თარგსა და ფერს კეთილსინდისიერად ინარჩუნებენ, ალბანელს, რომელსაც ბალკანელი ხალხის ტრადიციული ქვედა ბოლო – ფუსტანელა ეცვა, ბერძენ მათხოვრებს, ფართო შარვლიან თურქებს, ნაბდიან მეგრელებს, რუსულ მუნდირებს, ევროპულ სამოქალაქო ტანსაცმელს და სხვ. ყველგან იყვნენ ჩრდილოეთ სპარსეთიდან მოსული ვიწროთვალებიანი თათრები და თურქმანები, რომლებიც ერთმანეთს უცნობ ხორხისმიერ ენებზე ესაუბრებოდნენ. ამ შეუდარებელ სანახაობას კამკამა ძონძებში გახვეული, თავიანთ სიღარიბეშიც კი თვალწარმტაცი, მათხოვრები ასრულებდნენ.

ამ კოსმოპოლიტურ უბანს ისეთი თავისებურება გააჩნდა, როგორიც, ალბათ, მსოფლიოში არსად იყო. მეიდანზე, სადაც ამდენი განსხვავებული ადამიანი თანაარსებობდა, სომხები და ქართველები თავიანთ კრიალოსნებს მუსლიმებივით მექანიკურად მარცვლიდნენ. ცუდად ამენებული დიდი ქარვასლები წინ წაწეული მოხატული და მოჩუქურთმებული ხის აივნებით არც რუსული იყო და არც სპარსული, თუმცა მათი კუთვნილება იყო სამოვარი და ყალიონი, მათ გარეშე კი სრულყოფილი არც აივანი იყო და არც მაღაზია.

ფრანგი მრეწველი ალფრედ კოკლენ-შვარცი იქ ნანახით აღტაცებული წერდა: „რა ტიპაჟებია ამ ბრბოში! რა ფერებია! მზად ხარ იყვირო: მომეცით პალიტრა!

¹ Henri Cantel, „Le Prince Domentî, scènes de la vie géorgienne“, *Revue des deux Mondes*, vol. 40 (1862), 707.

ღვთის გულისათვის, პალიტრა! მაგრამ რა ვქნათ? ყოველივე ეს ძალიან ლამაზია ტილოზე გადასატანად“.

ბრიტანელი დიპლომატი აგასტოს ჰენრი მანსი ბაზარს ენების ბაბილონსაც უწოდებდა. ჭარბობდა ქართული და სომხური ენები, თათრული კი *მეიდნის* ლინგვა ფრანკა იყო. რუსული ენაც ნელ-ნელა იჭრებოდა ყველა სფეროში, განსაკუთრებით წვრილმან ვაჭრობასა და მოლაპარაკებებში. ბაზარში აქა-იქ ევროპული ენებიც ისმოდა – "Salam aleikum", "Zdrastwuyte", "Bonjour", "Guten Morgen". ალფრედ კოკლენ-შვარცს მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე სპარსულ ბაზარში ერთმა ახალგაზრდა სპარსელმა გერმანულად მიმართა: Was wollen sie Kauffen mein Herr? (რისი ყიდვა გსურთ, ბატონო?) ოდნავ მოშორებით კი მეორემ იგივე ფრანგულად ჰკითხა. ეს ის ერთადერთი კითხვა იყო, რომელიც მათ ამ ენებზე იცოდნენ და ძალიან საკვირველი იყო ფაფახისა თუ სპარსული ქუდის პატრონისგან მოულოდნელად ფრანგული თუ გერმანული ფრაზის მოსმენა.

ამ კოსმოპოლიტურ უბანს ისეთი თავისებურება გააჩნდა, როგორიც, ალბათ, მსოფლიოში არსად იყო, ხოლო ამ ორიგინალურ კოსტიუმებში გამოწყობილ ხალხზე დაკვირვება მეცნიერს ფართო სპექტრს სთავაზობდა ეთნოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად.

ლიკლამა ა ნაიეჰოლტი ცნობით, თბილისის ქუჩებში ხშირად შეხვდებოდი მუსლიმების მეტად განსხვავებულ ნაწილს – მამაკაცური, ხშირად შესანიშნავი გარეგნობის, მამაც ქურთებს. ცხენებზე ამხედრებული, შუბითა და ფარით შეიარაღებული ქურთების მიერ შესრულებული მეტად თამამი მანევრები და აკრობატული ილეთები მოგზაურს საოცარ სანახაობას სთავაზობდა. ქურთებს თბილისში თავიანთი საქონელი ჩამოჰქონდათ გასაყიდად ან ქარავნებს დაჰყვებოდნენ აქლემების გამრეკებად.

ბელგიელი ჟიულ ლეკლერკი აღნიშნავდა, რომ ხალხებისა და ენების უცნაური ნარევის ნახვა თბილისის ერთ-ერთ საზოგადოებრივ ბაღშიც შეიძლებოდა, სადაც რიგრიგობით უკრავდნენ რუსული, ქართული და სპარსული ორკესტრები. იქ იყვნენ „თეატრალური კოსტიუმების მთელი ბრწყინვალეობით“ მოსილი ქართველი პრინცესები, ეროვნულ სამოსში გამოწყობილი სომეხი ქალები და რუსი ქალები ბანალურ პარიზულ ტუალეტებში, მაგრამ არსად ჩანდნენ სპარსელი ქალები, რომელთაც რელიგია საჯაროდ გამოჩენას უკრძალავდა. ძნელი იყო ენების იმაზე მეტი მრავალფეროვნების წარმოდგენა, რაც იქ მყოფ ჭრელ ბრბოში ისმოდა და ვერ გაარკვევდი, ეს თათრული, სომხური, სპარსული, ქართული თუ ოსური ენა იყო.

ფრანგმა გეოგრაფმა, ფრანსის დრუემ, თბილისის ქუჩებში ორიგინალურ კოსტიუმებში გამოწყობილ მამაკაცთა შორის, ჩერქეზების ორიგინალური სამოსი – მკერდის ორივე მხარეს სამასრეებით გაწყობილი ე. წ. *ჩერქეზკა*, გამოარჩია. მათი იარაღი მორკალული ხმალი და გრძელი ხანჯალი იყო. მათი ამაყი გამომეტყველება, ღირსებით სავსე ჟესტები და ქცევა მოგზაურს მათ სასარგებლოდ განაწყობდა. დრუე იმასაც აღნიშნავს, რომ XIX საუკუნის ბოლოს ამიერკავკასიაში ცივი იარაღის ტარება დაშვებული იყო.

მოგზაურთა აზრით, თბილისი ისეთი თავისებურებით გამოირჩეოდა, როგორიც მსოფლიოში ალბათ არსად შეგხვდებოდა, ორიგინალურ კოსტიუმებში

გამოწყობილ ხალხზე დაკვირება კი მეცნიერებს ფართო სპექტრს სთავაზობდა ეთნოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად².

თბილისის მოსახლეობის დახასიათება. მოგზაურები გვაწვდიდნენ ცნობებს თბილისის ძირითადი მოსახლეობის – ქართველების, სომხების, მუსლიმების, გერმანელების, ფრანგებისა და რუსების შესახებ.

ქართველები. მოგზაურები მთელი XIX საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ქართველების სამოსის აღწერას, რასაც ქართველების ეთნიკურ იდენტობას უკავშირებდნენ. მათი საგანგებო ყურადღება კი ქალის თავსაკრავმა მიიქცია. ფრანგი მხატვრები ფარამონ ბლანშარი და ჟან პიერ მუანე მას გვირგვინს ადარებდნენ. ანრი კანტელის მოთხრობიდან კი ჩანს, რომ თბილისის მაღალი წრის ქართულ ოჯახებში XIX საუკუნის სამოციან წლებში პატარძალს ქორწილში კვლავ ტრადიციული ქართული სამოსი ეცვა. ლიკლამა ა ნაიეჰოლტის აზრით, მცხეთის საკათედრო ტაძრის კედლებზე ნანახი დედოფლის ფრესკის³ მიხედვით, ქართველი ქალის სამოსი უძველესი დროიდან მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე იყო შენარჩუნებული და ის მათ შუა საუკუნეების დედოფლების იერს სძენდა. ზოგი მოგზაური ქართველ ქალს ლამაზად მიიჩნევდა, ზოგის აზრით კი კლასიკური სილამაზის მქონე სახე ბანალური ხდებოდა და მათ ის აკლდათ, რის გარეშე ქალი ვერასოდეს იქნებოდა მართლა ლამაზი.

² Pharamond Blanchard: 1. "La Georgie. – Tiflis". *L'illustration, Journal Universel*, Paris, 1857, XXX, N 765, 275; 2. "Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)", *Le Tour Du Monde*, II, Paris (1861), 114-115; Floriant Gille, *Lettres sur le Caucase et la Crimée* (Paris: Gide – Libraire-Éditeur, 1859), 262, 267; Jean-Pierre Moynet, "De Bakou à Tiflis 1859", Texte et dessins de M. Moynet. *Le Tour du monde*, I, Paris (1860), 318; Tinco Martinus Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868*. I (Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, Libraire-Editeur C. L. Van Langenhuisen, Libraire-Editeur, 1872), I, 424; Géorges Bell, "Dix jours à Tiflis", *L'illustration Journal Universel*, 1868, 156; Douglas W. Freshfield, *Travels in the central Caucasus and Bashan* (London: Longmans, Green, & co. 1869), 101-103; Augustus Henry Mounsey, *A Journey through the Caucasus and the Interior of Persia* (London: Smith, Elder & Co., 1872), 39; Max Franz Guido von Thielmann, *Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der Asiatischen Türkei von Freiherr Max von Thielmann* (Leipzig: Verlag von Duncker & Humbolt, 1875), 179-180; John Buchan Telfer, *The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range* (London: H.S. King & Company, 1876), I, 158-159; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase* (Paris: J. Hetzel & C^{ie}, Editeurs, 1881), 265-266; Napoléon Ney, *En Asie Central à la vapeur: La mer Noire, la Crimée, Le Caucase, la mer Caspienne, les chemin de Fer Transcaspien, l'Asie centrale, Merv, Bokhara, Samarkand. Notes de voyage* (Paris: Garnier Frères - Editeurs, 1888), 125; Jules Leclercq, *Du Caucase aux monts Alaï, Transcaspié-Boukharie – Ferganah* (Paris: E. Plon, 1890), 11; Francis Drouet, *De Marseille à Moscou par le Caucase. Notes de voyage* (Rouen: Imprimerie de Espérance Cagniard, 1893) 101-104; Walter B. Harris, *From Batum to Baghdad Via Tiflis, Tabriz, and Persian Kurdistan* (Edinburgh: W. Blackwood & Sons, 1896), 41; Joseph de Baye, *Tiflis: souvenirs d'une mission*. Extrait de la «Revue de géographie», dirigée par M. L. Drapeyron (Paris: Edition Nilsson, 1900), 12-14, 20, 31.

³ ლიკლამა ა ნაიეჰოლტი, როგორც ჩანს, სვეტიცხოველში ნანახ იმ ფრესკას გულისხმობდა, რომელზეც დედოფალი მარიამია გამოსახული თავის მცირეწლოვან ვაჟთან, ოტიასთან, ერთად.

მოგზაურები არანაკლები ყურადღებით აღწერდნენ ქართველი მამაკაცის „თვალწარმტაც სამოსს“, რომლის შემადგენელი ნაწილები იყო ფერადი პერანგი ანუ ახალუხი, უცხოელების მიერ *ჩერქეზკად* წოდებული მუხლებამდე ჩოხა. წელზე შემორტყმული ჰქონდათ ვერცხლის ან საგანგებოდ ნამუშევარი, ოქროს ფირფიტებით მორთული ტყავის ვიწრო ქამარი, რომელზეც მდიდრული ხანჯალი, ტალ-კვესი, ჯაყვა და სხვა პატარა ნივთები ჰქონდათ დამაგრებული. წვიმისა და ქარისგან თავის დასაცავად *ჩერქეზკაზე* ნაბადს ისხამდნენ. ზამთარ-ზაფხულ თავზე ზოგჯერ მაღალი, ზოგჯერ მრგვალი, მაგრამ ყოველთვის ბეწვის დიდი ქუდი – ფაფახი ეხურათ, რომლის კარგი ხარისხის ბეწვი ფუფუნების საგანი იყო. ფეხზე ეცვათ უქუსლო, რბილი ტყავის სხვადასხვა ფერის წულები, მაგრამ ცხენოსნის რუსულ ჩექმასაც ხმარობდნენ. ქართველი მამაკაცების ხასიათის მნიშვნელოვან მტრისებრსაც შეეხნენ: მამაც და რაინდ ქართველ მამაკაცებს უყვარდათ თავის გამოჩენა და ფუფუნება, მოსწონდათ მდიდრული, ოქრომკედით მოქარგული სამოსისა და ელვარე იარაღის ტარება. მათი გატაცება ცხენები, სისუსტე კი კახური ღვინის ძლიერი სიყვარული იყო. ქართველი თავადაზნაურობა ძირითადად სამხედრო სამსახურში შედიოდა.

ჟან-პიერ მუანეს აზრით, ქართველ მამაკაცებს თითქმის უცვლელად ჰქონდათ შენარჩუნებული კავკასიური ტიპი, ქუჩაში კი საკმაოდ ხშირად ჩანდნენ ისეთი გარეგნობის მამაკაცები, რომლებსაც იგი აპოლონ ბელვედერელის ორიგინალებს უწოდებდა. უოლტერ ბარტონ ჰარისი წერდა: „მართალია, ქართველი მამაკაცი ზარმაცი, სიამოვნების მაძიებელი არსებაა, რომლის ზნეობაზე უკეთესია ნაკლები ითქვას, მაგრამ მისი სასიამოვნო გარეგნობა და კარგი ბუნება, აგრეთვე ღენდის იერი მას ყველგან საყვარელ ადამიანად აქცევს. მასზე უკეთ კი ვერავინ აცნობიერებს, რომ მას მსოფლიოში ყველაზე სუფთა ჯიშის რეპუტაცია აქვს, რომლის ულამაზეს წევრებსაც ეკუთვნის“.

ესპანელებივით ამაყი და გულუხვი ქართველი არ უფრთხილდებოდა თავის ქონებას, ფუფუნებისა და სიამოვნებისადმი სიყვარულის გამო კი თავის შესაძლებლობებზე მეტს ხარჯავდა. შედეგად ის გაუმადლარი სომეხი მევახშის ხელში ხვდებოდა, გაკოტრების შემდეგ არად აგდებდა თავის სიცოცხლეს და ზოგჯერ ყაჩაღობასაც არ თაკილობდა, რაც სულაც არ ვნებდა მის რეპუტაციას, მაგრამ ხშირად ციმბირით მთავრდებოდა. ქართველების შესახებ ბელგიელი მოგზაურის ერნესტ ორსოლის დასკვნა შემდეგი იყო: „ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ეს ქვეიანი, სასიამოვნო ერია, რომლისგანაც ბევრს უნდა ველოდეთ, როდესაც ის სრულად ეზიარება ევროპულ ცივილიზაციას“.

სხვადასხვა წვეულებასა და მეჯლისზე წარჩინებული ქართველი ქალები და მამაკაცები ევროპული ტანსაცმლით ჩნდებოდნენ, რასაც დიდი ბუნებრივობით ატარებდნენ, მაგრამ გაცილებით ღიბებული შესახედაობა მათ ტრადიციულ სამოსში ჰქონდათ, რაც შესანიშნავად არის წარმოდგენილი გრიგორი გაგარინისა და სხვა მხატვრების ტილოებზე. მაგრამ ასე ორიგინალურ, ასე მოხდენილ ეროვნული სამოსს ნელ-ნელა ევროპული მოდა ანაცვლებდა. მოგზაურთა ამ შენიშვნაზე ისინი ამბობდნენ, რომ თავის ევროპელად წარმოჩენა კარგი გემოვნების მაჩვენებელი იყო.

მოგზაურებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ თავადაზნაურობა არსად იყო ისე მრავალრიცხოვანი, როგორც საქართველოში, მაგრამ ისინი უმეტესწილად ღარიბები იყვნენ. ქართველი მამაკაცები თავიანთ თავს თავადებად წარადგენდნენ

და მათი დიდებული წარმოსადგეგობის დანახვაზე არავინ შეეცდებოდა მათი კეთილშობილი წოდების ეჭვქვეშ დაყენებას.

ევროპელი მოგზაურები ძირითადად თბილისის მაღალი წრის წარმომადგენელთა დახასიათებას გვაწვდიდნენ, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდათ. მაგრამ გვაქვს ცნობები XIX საუკუნის მიწურულს თბილისში მცხოვრები დაბალი წრის წარმომადგენელთა შესახებაც. ფრანგი არქეოლოგი ქალის, ჟანა დიელაფუას აზრით, თბილისის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლების დახვეწილობა და ელევანტურობა სადავოდ არ ხდიდა ქართველი ქალების სილამაზის სამართლიან რეპუტაციას, რაც მხოლოდ ბაზრებსა და მშრომელი ხალხის უბნებში იყო შენარჩუნებული.

ფრანგი ოფიცერი ჟან პონტევეს დე საბრანი ადგილზე მიღებული ინფორმაციის საფუძველზე წერდა: „ქართველი კაცების უპირობო ლოზუნგია არავითარი ქალები! არავითარი ქალები! ქმრები სეირნობენ, ქეიფობენ, ცეკვავენ, ერთმანეთს ეხვევიან, კამათობენ, სვამენ, ჩხუბობენ და მხოლოდ ერთმანეთს კლავენ. ამ დროს ქალები სახლში არიან, სადაც – როგორც გვარწმუნებენ – მათ ჭორაობასა და გართობას არც მარილი აკლია, არც პილპილი და არც წიწაკა“.

გერმანელი გეოგრაფის, ვიქტორ ლინგელშტედტის ცნობითაც, თუ კაცი ცხოვრებას გარეთ ატარებდა, ქალი ოჯახზე ზრუნავდა, უდიდესი სიამოვნება კი თავის მრავალრიცხოვან მეგობრებთან და ნათესავებთან ერთად კვირაში ერთხელ აბანოში სიარული და ოჯახურ ზეიმებში მონაწილეობა იყო. თბილისური ოჯახის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ნათლობა, ქორწინება და დასაფლავება. მეცნიერის კომენტარით, რამდენად გასაოცარიც არ უნდა ყოფილიყო, ამ მხიარულ ხალხში დასაფლავებაც კი უფრო სასიხარულო ხასიათს იღებს, ვიდრე სამწუხაროს. ყოველ სიკვდილს დიდი, მხიარული და ხმაურიანი ვახშამი მოჰყვებოდა, გარდაცვალების გამო დაღუული ღვინის რაოდენობა კი ნამდვილად იმაზე ნაკლები არ იყო, რასაც ქორწილსა ან ნათლობაში სვამდნენ.

ვიქტორ ლინგელშტედტმა იმ ფაქტს მიაქცია ყურადღება, რომ თბილისის ერთ-ერთი თავისებურება ქუჩებში ადგილობრივი მამაკაცების ხმაური და დავიდარაბა იყო. სასმლის გარდა, თბილისის მოსახლეობა დიდად აფასებდა ჭიდაობას, მუსიკას და ეტლით ან ტრამვაით სეირნობას. ხალხი ბევრს მღეროდა და ცეკვავდა. ეროვნული ცეკვა, რომელშიც კაცებიც და ქალებიც მონაწილეობდნენ, ლეკური (*ლეზგინკა*) იყო. პოპულარული მუსიკალური ინსტრუმენტები იყო ზურნა, ჩონგური, დაირა და დოლი. სიმღერებს ძირითადად ჩონგურის თანხლებით ბრმა მომღერლები, აშუღები, ასრულებდნენ, რომლებიც ხშირად საკმაოდ სახელგანთქმულებიც იყვნენ. ხალხში განსაკუთრებით პოპულარული იყო უფრო თანამედროვე მუსიკალური ინსტრუმენტი – არღანი. მას ქუჩა-ქუჩა დაატარებდნენ უსაქმურების დიდად გასახარებლად, რომლებიც მას ჩახლეჩილ და მთვრალ ხმებს აყოლებდნენ.

მოგზაურები გვაწვდიან ცნობებს თბილისში ნანახი რელიგიური დღესასწაულების – ნინუას წყლის კურთხევის, შობის, წმინდა ნინოს სახელობის დღისა და აღდგომის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ევროპელი მოგზაური არ ახსენებს თბილისში ნანახ მუსლიმურ დღესასწაულს, მაგრამ ამის მიუხედავად, თბილისის ძველ ნაწილს აზიურს ან აღმოსავლურს უწოდებდნენ. ეს გულისხმობდა თბილისის ძველ უბნებში ადგილობრივ მცხოვრებთა ცხოვრების

წესს. აღმოსავლური გავლენის კვალი ქართველი თავადაზნაურობის ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეიმჩნეოდა⁴.

სომხები. გლეხობას შორის შუალედური კლასის არარსებობაში მდგომარეობდა, რომელიც სომხებმა შეავსეს. თბილისის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც სწორედ სომხები ქმნიდნენ, რომლებსაც მოგზაურები ერთხმად ახასიათებდნენ მშვიდ, დინჯ, გაქნილ, ჭკვიან და შეუპოვარ ადამიანებად. აღმოსავლელთა შორის ბიზნესის წარმართვის თვალსაზრისით ისინი უდავოდ ყველაზე უნარიანები იყვნენ. მთელი ამიერკავკასიისა და თბილისის ვაჭრობაც აქტიური და ფხიანი სომხების ხელში იყო მოქცეული. მათ „აღმოსავლეთის ებრაელებს“ უწოდებდნენ, რომლებიც კავკასიაში ცოტანი ან სულ არ იყვნენ, რადგან სომხები მათ ყოფნას სრულიად უსარგებლოს ხდიდნენ. თბილისში ამბობდნენ, რომ ერთი სომეხი სამ ებრაელს უდრიდა, ერთი ებრაელის მოტყუებას ორი ბერძენი სჭირდება, ერთი სომხისას – ექვსი ებრაელი. ებრაელების მსგავსად სომხებსაც კარგად ესმოდათ, რომ ფული იყო ის უდიდესი ძალა, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში დომინირებდა. ისინი ამ მიზნისკენ მიისწრაფოდნენ და ხშირად დიდ ქონებასაც იხვეჭდნენ, რასაც თავიანთი მომჭირნეობითა და შრომით, ხშირად კი არაკეთილსინდისიერადაც აღწევდნენ.

სომხური საზოგადოება თითქმის იმდენ ფენად იყოფოდა, რამდენი პროფესიაც იყო – დაწყებული ყველაზე უბრალო მეღუპნიდან მსხვილ ბანკირამდე, რომელთა შორის უზარმაზარი ქონების მფლობელებიც იყვნენ. ამ კიბის უმაღლესი საფეხური იმ ძლიერ სპეკულანტებს ეჭირათ, რომლებიც ქარავნებს გზავნიდნენ და შავ და კასპიის ზღვებზე გემებს ტვირთავდნენ. წყნარ, მოქნილ და შემპარავ სომხებს იმის ნიჭიც ჰქონდათ, რომ მუსლიმურ მოსახლეობასთან დაეჭირათ საქმე, რომელიც მათ მათთან ვაჭრობით მიღებული მოგების გამო ითმენდა. იმის გამო, რომ სომხებს უსაფრთხოდ ევაჭრათ, არ აღეძრათ შური და თავიც დაეცვათ გამოძალკვისგან, თავიანთი ქონების დასაფარად დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ და ამიტომ ჰქონდათ ის საცოდავი იერი, როგორითაც უყვარდათ თავის წარმოჩენა.

1868 წელს ფრანგი ჟურნალისტის, ჟორჟ ბელის ცნობით, გამდიდრებული სომეხი თავს შერცხვენილად ჩათვლიდა, თუ თავისი სიმდიდრით არ

⁴ Blanchard: 1. "La Georgie. – Tiflis", 275, 278; 2. „Parazdnik sviatova crestchenia. Yordann. 6/18 janvier a Tiflis et Saint-Petersbourg“. *L'illustration, Journal Universel*, 1858, 118; 3. "Voyage de Tiflis à Stavropol...", I, 114-116; Gille, *Lettres sur le Caucase*, 274-275; Moynet, "De Bakou à Tiflis 1859", I, 326-327; Cantel: 1. "Le Prince Domenti...", vol. 40, 730; 2. "Héraklès, scènes de la vie géorgienne", *Revue des deux mondes*, vol. 46 (1863): 451-454; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 415-417, 429-430; Freshfield, *Travels in the central Caucasus*, 101; Jules Patenôtre, "Un voyage d'hiver au Caucase – De la Mer-Noire à la Mer Caspienne", *Revue des Deux Mondes*, (1874), VI, 520; Ernest Orsolle, *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, Nourrit et Cie, 1885) 47-48; , Jean de Pontevès de Sabran, *Note de voyage d'un hussard — Un raid en Asie* (Paris: Calmann Lévy, 1892), 65, 392-393; Armand Pierre de Cholet, *Excursion en Turkestan et sur la frontière russo-afghane* (Paris: E. Plon, Nourrit & Cie, 1889), 22-23; Belloni Chantre, *À travers l'Arménie russe* (Paris: Hachette, 1893), 4; Leclercq, *Du Caucase aux monts Alaï*, 11; Jules Verne, *Claudius Bombarnac, carnet d'un reporter à l'inauguration du grand Transasiatique* (Paris: J. Hetze et Cie, 1892), 6, 9; Victor Dingelstedt, "La population du Caucase et la ville de Tiflis", *Revue genevoise de géographie*, 33 (1894): 83-85; Harris, *From Batum to Baghdad Via Tiflis*, 49-51. Gaston Sansrefus, *De Paris à Tiflis. Impressions de route* (Paris: Ernest Flammarion, Editeur, 1897), 445.

ისარგებლებდა და თავის ოჯახს სასიამოვნო ცხოვრებას არ შეუქმნიდა. მის სახლს ირგვლივ გაღერები ჰქონდა, ბინა კი კაშკაშა ფერის ფარდებით, ხალიჩებითა და მდიდრული ავეჯით იყო გაწყობილი. სიგრილის შესანარჩუნებლად და ბაღში ყვავილების მოსარწყავად, წყაროს წყალი ხშირად შორიდან გამოჰყავდათ. სომხები თავიანთი შვილების განათლებაზე ზრუნავდნენ და მათთვის შვეიცარიელ გუვერნანტებს ქირაობდნენ. დინგელშტედტის ცნობით, ნაკლებად მოხდენილი და ნაკლებად ზარმაცი სომეხი ქალი ქართველ ქალზე გაცილებით უკეთესი დიასახლისი იყო და ამიტომ უკეთესად უძღვებოდა ოჯახს.

ფრანგი მწერალი ანრი კანტელი თავის მოთხრობაში „ერეკლე, ქართული ცხოვრების სცენები“ წერს: „აზიელები მხოლოდ სიხარულის მიზეზს ეძებენ, მდიდარ ოჯახებში სომხური ქორწილი დიდი პომპეზურობით, ღარიბებში კი თითქმის ფუფუნებით აღინიშნება“. ამ მოთხრობაში იგი აღწერს წარჩინებული თბილისელი სომეხი კაცის, პიცურხანის ქალიშვილის, თამარას ქორწილს, რომელსაც ესწრებოდა ივანე მირზოევი – ცნობილი თბილისელი მრეწველი, პირველი გილდიის ვაჭარი, ტიტულიანი მრჩეველი და ქველმოქმედი.

ერნესტ ორსოლმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტმა, რომ ქართველი სომეხთან დაქორწინებას მეზალიანსად მიიჩნევდა, რაც ხელს არ უშლიდა, რომ მრავალ ძირძველ და გაკოტრებულ თავადს თავისი ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად ცოლად რომელიმე მდიდარი ზარაფის ქალიშვილი შეერთო. თავის ერთ-ერთ მოთხრობაში „თავადი დომენტი, ქართული ცხოვრების სცენები“, ამ თემას ანრი კანტელიც შეეხო.

ფრანგი მრეწველის, ალფრედ კოკლენ-შვარცის ცნობით, თბილისის სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელი მაქმანებსა თუ მუსლინის ვუალებში გახვეული ქალბატონები ხშირად ელეგანტურად და გემოვნებითაც იყვნენ ჩაცმულნი; სტუმრად ან „ბულვარის ბუტიკებში საყიდლებზე“ სიარულისას მათ შლეიფიანი კაბები ეცვათ. ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგის, ერნესტ შანტრის მეუღლე, ბელონი შანტრი, 1890 წლის ზაფხულში გერმანული კოლონიის უბანში მდებარე სომხურ კლუბს ეწვია, რომლის წევრები იქ ოჯახებით სამშაბათობით იკრიბებოდნენ. ახალგაზრდა სომეხი ქალების ნაწილი უახლესი პარიზული მოდის მიხედვით იყო გამოწყობილი, სხვები კი უცვლელად ინარჩუნებდნენ ეროვნულ სამოსს.

სომხებს ძალზე მაღალი თანამდებობები ეჭირათ რუსეთის სამოქალაქო და სამხედრო ადმინისტრაციაში, აგრეთვე მრეწველობაში, ვაჭრობასა და ფინანსურ წრეებში. ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დარჩენია ფლორიან ჟილს, რომელიც ასევე აღნიშნავდა, რომ აქტიური და შეუპოვარი სომხები სიმდიდრის მეშვეობით ცდილობდნენ თავიანთი გავლენის გაზრდას. მათ მიმართ სიმპათიით განწყობილი ჟილი მიიჩნევდა, რომ ქვეყნის სასარგებლოდ მათი გავლენა „რუსული ელემენტისა და უცხოეთიდან მოწვეული კარგი ხალხით“ უნდა გაწონასწორებულიყო. დინგელშტედტის აზრით, კავკასიის სიმდიდრის თავის ხელში მოქცევით და თავისი შეუპოვრობით, მოხერხებულობითა და მომჭირნეობით, თბილისის ნამდვილი ბატონი სომეხი იყო. მას რუსეთის განათლებული მთავრობის მხარდაჭერით უნდა ესწავლა, როგორ გადაეცია თბილისი რუსეთის ერთ-ერთ ულამაზეს და მეტად აყვავებულ ქალაქად. ბარონი დე ბაი აღნიშნავს, რომ სომხებმა, რომლებიც ცნობილნი იყვნენ რუსეთისთვის გაწეული დიდებული

მსახურებით – ტერ-გუკასოვმა, ლორის-მელიქოვმა⁵, შჩელკოვნიკოვი⁶ და იზმაილოვმა⁷, სიამოვნებით მისცეს რუსული ფორმა თავიანთ გვარებს⁸.

მუსლიმები. თურქულენოვანი მუსლიმი მოსახლეობა, რომელსაც მოგზაურები თათრებს უწოდებენ, საინტერესო დუქნებითა და თვითმყოფადი ხასიათის უბანში ბინადრობდა, რომელიც მტკვრიდან ერევანსკის მოედნამდე ვრცელდებოდა. მოგზაურთა დახასიათებით, ეს ღარიბი, გონიერი, მშრომელი ხალხი იყო, იტანდა ყოველგვარ გაჭირვებას და მის ხასიათს ვერანაირი უბედურება ვერ გატეხდა. თათრების ერთი ნაწილი სოფლის მეურნეობასა და მესაქონლეობას მისდევდა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისისთვის, რადგან ქალაქს სწორედ ისინი ამარაგებდნენ თითქმის მთელი ხორბლით, კარაქით, კვერცხითა და სხვ. ქალაქის მომარაგება მნიშვნელოვნად შეფერხდებოდა, თუ თათრები მოულოდნელად მიატოვებდნენ ბანაკს. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ თუნდაც მცირე რელიგიურ შევიწროებას იგრძნობდნენ. თათრებს შორის იყვნენ მეაბანოეები, ზოგი კასპიისპირეთსა და ირანს შორის ვაჭრობის ტრადიციული სატრანსპორტო საშუალების – მძიმედ დატვირთული აქლემებისა და ჯორების გამრეკი იყო. თათრების მიერ ჩადენილი კრიმინალური დანაშაულის ამბები პერიოდულად იბეჭდებოდა თბილისის გაზეთებში.

ქიულ ლეკლერკი აღნიშნავდა, რომ თბილისი დიდხანს იყო სპარსელების ბატონობის ქვეშ და ამიტომ თბილისის ძველ ნაწილში შენარჩუნებული იყო მკვეთრად გამოხატული სპარსული იერსახე. სპარსელებს იქ მათ მუქი ფერის გრძელი სამოსითა და კრაველის შავი ქუდით შეიცნობდი. ამიერკავკასიაში ბედის საძებნელად ყოველწლიურად ირანის შაჰის სულ მცირე 50,000 ქვეშევრდომი ირანის დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან ჩამოდიოდა. ისინი მარჯვე ხელოსნები, განსაკუთრებით კი ჩინებული კალატოზები იყვნენ. 1828 წლიდან ერევნის პროვინციიდან ემიგრირებული სპარსელები რუსეთის ქვეშევრდომები იყვნენ და ნებაყოფლობით მსახურობდნენ რუსულ არმიასა და ადმინისტრაციაში. აღმოსავლური ენების ცოდნის გამო ისინი სასარგებლო დამხმარენი იყვნენ იმპერიის აზიურ პროვინციებში. მათი უმრავლესობა ხშირად მნიშვნელოვან

⁵ მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვი (1825-1888) – რუსეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე.

⁶ ბეგბუტ მარტიროსის ძე შელკოვნიკოვი (მეტაქსიანი) (1837-1878) – სომხური წარმოშობის რუსი გენერალი.

⁷ პოგოს (პავლე) ალექსანდროვიჩი იზმაილოვი (1852-1895) – 1893 წელს თბილისის მერი იყო.

⁸ Cantel, "Le Prince Doment", vol. 40, 707-732.; Gille, *Lettres sur le Caucase*, 266-267; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 413-414, 423, 430-431; Bell, "Dix jours a Tiflis", 155-157; Thielmann, *Le Caucase, la Perse*, 80; Telfer, *The Crimea and Transcaucasia*; I, 154-155; Koechlin-Schwartz, *Un touriste au Caucase*, 269-270; Orsolle, *Le Caucase*, 48-49; Edgar Boulanger, *Voyage à Merv. Les Russes dans l'Asie centrale et le chemin de fer transcaspien* (Paris: Librairie Hachette et C^{ie}, 1888), 44; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 113-115; Dingelstedt, "La population du Caucase", 76, 86; Leclercq, *Du Caucase aux monts Alaï*, 9-10; Carle Lefèvre-Pontalis, *De Tiflis à Persépolis: Ériwan, Tabriz, Téhéran, Ispahan*. (Paris: Librairie, Plon, 1894), 9-10; Chantre, *À travers l'Arménie russe*, 344; Ernest Chantre, *Missions scientifiques en Transcaucasie, Asie Mineure et Syrie, 1890-1894: recherches anthropologiques dans l'Asie occidentale* (Lyon: H. Georg) 1895, 13; Albert Ponset, *Volga-Caucase-Géorgie. Notes de voyage* (Montpellier: Imprimerie Gustave Firmin et Montane, 1899), 14; Baye, *Tiflis*, 12-14.

თანამდებობებსაც აღწევდა. ამასთან, ისინი შესანიშნავი ჯენტლმენები იყვნენ, ბევრი მათგანი ჩინებულად ლაპარაკობდა ფრანგულად.

თბილისი ირანიდან პოლიტიკური მიზეზების გამო ემიგრირებული სპარსელი წარჩინებულების თავშესაფარიც იყო. 1850-1851 წლებში თბილისში მყოფი ფრანგი მხატვარი ემილ ფრანსუა დესენი, კავკასიის მეფისნაცვალმა, მიხეილ ვორონცოვმა ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე იმჟამად თბილისში მყოფ ირანის შაჰის, ნასერ ად-დინის (1848-1896), ბიძას, ბაჰმან მირზა ყაჯარს⁹, წარუდგინა. ფრანგი ოფიცერი, კარლ ლეფევერ-პონტალისი კი მეტად დადებითად ახსენებს თბილისში მყოფ ირანის გენერალურ კონსულს, გენერალ მირზა რიზა ხანს¹⁰, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

ბარონი დე ბაის ცნობით, ამიერკავკასიის შიიტების სულიერი წინამძღოლი – შეიხ-ულ-ისლამი, ელისავეტპოლის (დღეს ქალაქი განჯა – ი.ნ.) გუბერნიის მკვიდრი, მოლას ოჯახიდან გამოსული სამოციოდე წლის აბდუსალამ ახუნდე-ზადე იყო, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა თანამორწმუნეებზე. ამ თანამდებობაზე იგი კავკასიის მმართველის მიერ იყო დანიშნული. თბილისში მყოფ მრავალრიცხოვან მუსლიმებს შორის, ყველა შიიტი არ იყო, იყვნენ სუნიტებიც, რომელთა სულიერ ლიდერს ამიერკავკასიის მუფთის წოდება ჰქონდა. შიიტებსა და სუნიტებს საკუთარი მეჩეთები ჰქონდათ. ბაის აზრით, იმპერიულ მთავრობას უფრო ცივილიზებულ თათრების საპირწონედ მოხმობა შეეძლოთ სხვა ადგილობრივი ელემენტების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, ბაი სომხებს გულისხმობდა, რომელთა ძალა დომინირებისკენ ისწრაფოდა¹¹.

გერმანული კოლონია. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ფართო ხეივნის ორივე მხარეს მდებარე სახლები ვიურტემბერგიდან გადმოსახლებულ გერმანელებს ეკუთვნოდათ. ქართველებისა და აღმოსავლელების ნახევრად მიწური, თიხის ქოხებისა და რუსების დაუდევრად შეღებილი საცხოვრებლებისგან განსხვავებით, გლიცინიითა და მცოცავი მცენარეებით შემოწნული მათი ვერანდებიანი და აივნებიანი სახლები სასიამოვნო ბალებით იყო გარშემორტყმული და ძალიან მიმზიდველად გამოიყურებოდა. გერმანელებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი ენა და წეს-ჩვეულებები, ერთმანეთში ქორწინდებოდნენ და თითქმის არ ლაპარაკობდნენ რუსულად. მათ სახლებში სისუფთავე და კომფორტი სუფევდა, სამუშაო ხელსაწყოებს კი ევროპული

⁹ ბაჰმან მირზა ყაჯარი (1811-1884) – აბას მირზას მეოთხე ვაჟი, ფათჰ-ალი შაჰის შვილიშვილი, პოლიტიკური მიზეზების გამო 1848 წელს ირანიდან თბილისში გადასახლდა.

¹⁰ მირზა რიზა ხანი, დანეში, პრინცი არფა' ად-დოლე (1853-1937) – ირანელი დიპლომატი, ირანის კონსული თბილისში (1889-1894), პეტერბურგსა (1894-1901) და სტამბოლში (1901-1910). 1912-1914 წლებში იყო ჯერ ირანის იუსტიციის, შემდეგ განათლების მინისტრი (მარინა ალექსიძე, გრიგოლ ბერაძე, ირინა კომორიძე, დიპლომატია, არქიტექტურა და პოეზია: მირზა რიზა ხან არფა' ად-დოლე და საქართველო, „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის – ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ“. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 62-68).

¹¹ Filippi, *Note di un viaggio nel 1862 di F. de Filippi* (Milano: G.Daelli & C. Editori, 1865), 49-50; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 350-351, 440; Bell, 1. "Dix jours a Tiflis", 157; 2. "Dix jours a Tiflis", 171-172; Orsolle, *Le Caucase*, 48-49; Leclercq, *Du Caucase aux monts Alaï*, 9; Baye, *Tiflis*, 23, 26; Дессен, Эмиль Франсуа. Записки о путешествии на Кавказ. «Наше Наследие», № 108, 2014. <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/10808.php>

წარმოშობის აშკარა ნიშანი ედო. ისინი ყურადღებიანი, თავაზიანი, პატიოსნები და კარგი ბუნებისანი იყვნენ. მათი შრომისმოყვარეობა ძალიან მალე დაეტყო თბილისის ბაზარს, სადაც ისინი დიდი რაოდენობით და უფრო იაფად ყიდდნენ საკვებ პროდუქტს. მათ ჰქონდათ ლუდსახარში, რომლის ნაწარმი ძალიან მოსწონდათ რუსებს, სომხებსა და ქართველებს. თბილისში მცხოვრებ გერმანელებს შორის იყვნენ გამოცდილი ხელოსნები, რომელთა შრომა სათანადოდ ნაზღაურდებოდა. მათ ჰქონდათ თავიანთი ტაძარი, სკოლა და ისე ჩანდა, რომ ისინი დიდხანს და უცვლელად შეინარჩუნებდნენ თავიანთ ეროვნულ ხასიათს, განსხვავებით ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებული თანამოძმეებისაგან, სადაც გერმანელებმა ძლიერ სწრაფად შეითვისეს დომინანტი მოსახლეობის ადათ-წესები და ენა. გოლოვინის პროსპექტზე ვიურტემბერგელი გლეხურის ძვირფასი კავეულის მაღაზია, სოლოლაკის უბანში კი შმიტის აფთიაქი იყო¹².

ფრანგული კოლონია. გერმანული კოლონიის გარდა, თბილისში იყო უფრო მცირერიცხოვანი ფრანგული კოლონია. მათი უმრავლესობა მოდური საგნებით ვაჭრობდა, მათ შორის იყვნენ იუველირები, პარიკმახერები და *მოდისტები* – ქალების ქუდების, ტანსაცმლისა და თეთრეულის მკერავი ქალები. ქალაქის მარჯვენა სანაპიროზე – გოლოვინის პროსპექტსა და სასახლის ქუჩაზე¹³ მდებარე მაღაზიებში ფართოდ იყო წარმოდგენილი უკანასკნელი მოდის სიახლეები: გალანტერეა, ღვინო, ფუფუნების საგნები, მოდური სამოსი და ლიონის აბრეშუმი. ამ მაღაზიებს შორის დასახელებულია დელსოლმების მოდური საქონლის, ფრანგი დიუფურის საკონდიტრო და სხვ. თბილისის სამ მთავარ სასტუმროს – „ევროპას“, „კავკაზსა“ და „ლონდონს“ ფრანგები მართავდნენ.

ნაპოლეონ ნეის ცნობით, თბილისის მარცხენა სანაპიროზე ევროპის ბაღში გერმანელები და ფრანგები თავიანთ ეროვნულ დღესასწაულებს აღნიშნავდნენ და იქ მონაცვლეობით ისმოდა „მარსელიეზა“ და „რაინის გუმაგები“¹⁴. ნეი აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ გერმანელებს არ ჰქონდათ ქედმაღლური დამოკიდებულება უფრო მცირერიცხოვანი ფრანგული კოლონიის მიმართ – იგი საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომში ფრანგების დამარცხებას გულისხმობდა. ეს ცნობა მიუთითებს თბილისში დამკვიდრებულ ტოლერანტულ დამოკიდებულებას სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის. ახალგაზრდა ფრანგი სტუდენტი, ოგიუსტ ლაკუან დე ვილმორანი 1889 წლის 14 ივლისს ფრანგი ბარბერონის ბაღში გამართულ საზეიმო ბანკეტს დაესწრო¹⁵.

¹² Filippi, *Note di un viaggio nel 1862*, 71-72; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 431, 446-450; Max Franz Guido von Thielmann, *Streifzüge im Kaukasus*, 179; Orsolle, *Le Caucase*, 48-49; Pontevès de Sabran, *Note de voyage d'un hussard*, 390; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 141.

¹³ სასახლის (დვარცოვი) ქუჩა ერივანსკის მოედანსა და გოლოვინის გამზირს შორის მდებარეობდა (თენგიზ კვირკველია, *ძველთბილისური დასახელებანი* (თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1985), 102).

¹⁴ მარსელიეზა (ფრანგ. La Marseillaise) – საფრანგეთის რევოლუციის სიმღერა, საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი. „რაინის გუმაგები“ (Die Wacht am Rhein) – გერმანული პატრიოტული სიმღერა შეიქმნა 1870-1871 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს.

¹⁵ Filippi, *Note di un viaggio nel 1862*, 50-51; Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 350-351, 440; Patenôtre, *Un voyage d'hiver au Caucase*, 519; Freshfield, *Travels in the central Caucasus*, 102-103; Orsolle, *Le Caucase*, 48-49; Cotteau, Edmond. „Voyage au Caucase et en Transcaspienne: 24 juillet -

რუსები. თბილისის რუსულ საზოგადოებას სამხედრო პირებისა და სამოქალაქო მოხელეების ოჯახები შეადგენდნენ. ლიკლამა ა ნაიეპოლტის ცნობით, რადგან თბილისში ცხოვრება შეუდარებლად იაფი იყო, ვიდრე სანქტ-პეტერბურგსა და მოსკოვში, ამიტომ ყველა რანგის მრავალი მოხელე თბილისში ითხოვდა გამოგზავნას. ძალიან დიდი შტატისგან შემდგარ მთავრობას 1845-1881 წლებში სათავეში კავკასიის მეფისნაცვალს ედგა, რომელიც იმპერატორს წარმოადგენდა და თითქმის სუვერენულ ხელისუფლებას განახორციელებდა, 1881-1896 წლებში კი – კავკასიის მთავარმართებელი.

რუს მოხელეთაგან ლიკლამა ა ნაიეპოლტი მეტად დადებითად ახასიათებს სახელმწიფო მდივანს, ბარონ ალექსანდრ დე ნიკოლაის¹⁶, რომელიც კავკასიის სასწავლო მიმართულებას ხელმძღვანელობდა და მის ძმას, ბარონ გენერალ ლეონტი დე ნიკოლაის. ფრანგი მწერლის, ჟან კაროლის ცნობით, რუსები თბილისში ყოველთვის თავისი ნებით არ ცხოვრობდნენ, ხოლო პოლიტიკური თვალსაზრისით, „კავკასია ციმბირის მიმართ იგივე იყო რაც სალხინებელი – ჯოჯოხეთის მიმართ“. მისი ცნობით, რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცვლილების გამო ალექსანდრე III-ს თავის მამის ყველა მეგობრის შენარჩუნების საშუალება არ ჰქონდა. თბილისში ცხოვრობდნენ იმპერატორ ალექსანდრე II-ის მმართველობის დროს დიდი გავლენის მქონე გენერლები და პირად მრჩევლები, რომელთა მიმართ ყველა თავშეკავებით გამოხატავდა სიმპათიასა და პატივისცემას. კაროლის თქმით, კლუბიდან მებლირებული ოთახებისკენ ნელა მიმავალი ეს პირები, რომლებიც „ადრე ხმამაღლა საუბრობდნენ ზამთრის სასახლის მოოქრულ დარბაზებში“, დუმდნენ, რადგან მათ ჟესტებსაც კი უთვალთვალავდნენ.

ვიქტორ დინგელშტედტი აღნიშნავდა, რომ რუსეთმა წარმატებით შეძლო საქართველოს ძველი დედაქალაქის უმაღლესი ფენის რუსიფიკაცია, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც და ამასთან, თვითონ რუსებიც მნიშვნელოვან კონტინგენტს შეადგენდნენ. ინგლისური სისტემისგან განსხვავებით, რუსული ბიუროკრატია თავის რიგებში იღებდა თბილისში მცხოვრებ ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც სამოქალაქო თუ სამხედრო სამსახურის ყველა დონეზე შეხვდები. ამ ვითარებას იგი რუსულ ბიუროკრატიაში ახალი სისხლის გადასხმას უწოდებდა, რადგან მათ შორის მეტად უნარიანი ადამიანები მთავრობისთვის მეტად სასარგებლონი იყვნენ ადგილობრივი ენებისა და წეს-ჩვეულებების უკეთ ცოდნის გამო. მისი აზრით, სწორედ რუსეთი იყო მოწოდებული კავკასიაში სხვადასხვა ხალხის ასიმილაციისთვის, რაც ასე წარმატებით განახორციელა ძველმა რომმა თავის მიერ დაპყრობილ პროვინციებში¹⁷.

11 octobre 1887“. Bulletin de la société de Géographie commerciale de Paris X, (1887/1888), 392; Pontevès de Sabran, *Note de voyage d'un hussard*, 390; Auguste Lecoq de Villemorin, *De Paris à Bombay par la Perse*. Illustrations d'après les photographies rapportées par auteur (Paris: Librairie de Firmin-Didot et C^{ie} imprimeurs de l'Institut, 1895), 26.

¹⁶ ბარონი ალექსანდრე ნიკოლაი (1821-1899) – რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მოღვაწე. მისი მეუღლე ალექსანდრე ჭავჭავაძის უმცროსი ქალიშვილი, სოფიო (1833-1862) იყო.

¹⁷ Lycklama A Nijeholt, *Voyage en Russie*, I, 447-448; Ney, *En Asie Central à la vapeur*, 441; Lefèvre-Pontalis, *De Tiflis à Persépolis*, 11; Dingelstedt, “La population du Caucase”, 86; Jean Carol, *Colonisation russe, les deux routes du Caucase*. Notes d'un touriste. Ouvrage contenant trente-quatre illustrations et deux cartes (Paris : Librairie Hachette et C^{ie}, 1899), 35.

დასკვნა. ევროპელი მოგზაურების დახასიათებით, თბილისი არა მხოლოდ კონტრასტების, არამედ ჰიბრიდული ქალაქი და ფერების ქოთანი იყო, სადაც ერთმანეთში ევროპისა და აზიის სრულიად განსხვავებული ელემენტები ირეოდა, მაგრამ არ ერთდებოდა. ფრანგი მწერლის ჟან კაროლის აღქმით, თბილისს, რომელიც თავისი მდებარეობის გამო მუსლიმური მძვინვარებისათვის განწირული ქრისტიანული აღმოსავლეთის მოწინავე ციტადელი იყო, ფერფლის ელფერი და ღვინის სუნი ჰქონდა. ეს იყო მეტად თავისებური, სრულიად განსაკუთრებული სტილის ქალაქი, უზარმაზარი ქარვასლის მსგავსი, სადაც ერთმანეთს ხვდება ქრისტიანულ ევროპა – ზრდილი და ცივილიზებული და ურწმუნო აზია – უწესრიგო და ბარბაროსული. ბელგიელი მოგზაური ქალის, კარლა სერენას თქმით, თბილისი, არსებითად, ინდივიდების მრავალფეროვნების თვალსაზრისით კავკასიის რუკის ნიშში იყო¹⁸.

1897 წლის სტატისტიკური მონაცემებით, თბილისში 163,012 მოსახლე იყო, სომხები მთელი მოსახლეობის 32,0%, ქართველები – 27,7%, რუსები – 26,8%, სხვა ეროვნების ხალხი კი 13,5% შეადგენდა¹⁹. ამგვარად, ისე, როგორც XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მათგან ყველაზე მრავალრიცხოვანი კვლავ სომხები იყვნენ. ქართული მოსახლეობის ზრდა საქართველოში 1864 წელს ბატონყმობის გაუქმებამ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან თბილისში სამუშაოს საძებნელად გლეხთა ჩამოსვლამ განაპირობა, რუსული მოსახლეობა კი ქალაქში მყოფი სამხედრო პირების, საჯარო მოხელეების, ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების ხარჯზე გაიზარდა.

უცხოელი მოგზაურები ინფორმაციას თბილისის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის, მათი ადათ-წესებისა და ჩვეულებების შესახებ თავიანთი კულტურისა და ღირებულებების პრიზმაში ატარებდნენ. მოგზაურები სხვანაირად აღიქვამდნენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ადგილობრივი მცხოვრებლისთვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ამიტომ, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა დრო დაყოფა ამა თუ იმ მოგზაურმა საქართველოში, მათი ხედვა ხშირად მიკერძოებულია და არც გარკვეული სუბიექტურობისგანაა დაზღვეული. მაგრამ ეს ის ინფორმაციაა, რომელსაც საქართველოს შესახებ განათლებული ევროპელი მკითხველი იგებდა. მათ მიერ მოწოდებული მდიდარი მასალა საკვლევად მეტად საინტერესო წყაროა და სწორედ ამაში მდგომარეობს მოგზაურის ნაწერების მნიშვნელობა.

ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე კი შეიძლება ითქვას, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში თბილისი მნიშვნელოვან მულტიკულტურულ როლს ასრულებდა, რადგან იქ ერთმანეთის გვერდით სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თანაარსებობდნენ, რაც ამ ქალაქის მნიშვნელოვანი დამახასიათებელი ნიშნი იყო.

¹⁸ Patenôtre, „Un voyage d’hiver au Caucase“, 88-89; Carla Serena, *Mon voyage; souvenirs personnels: De la Baltique à la mer Caspienne* (Paris: Maurice Dreyfous, 1880), 88; Leclercq, *Du Caucase aux monts Alaï*, 6; Sansrefus, *De Paris à Tiflis*, (Paris: Ernest Flammarion, Editeur, 1897), 418; Jean Carol, *Colonisation russe*, 35.

¹⁹ Самвел Карапетян, Мэры Тифлиса (Тбилиси) (Ереван, издательство «Гетютюн» НАН РА), 2003, 9.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა - References

1. ალექსიძე მარინა, ბერაძე გრიგოლი, კომორიძე ირინა. „დიპლომატია, არქიტექტურა და პოეზია: მირზა რიზა ხან არფა‘ ად-დოულე და საქართველო“. *ადმოსავლეთსა და დასავლეთს შორის – ირანელი და ფრანგი ავტორები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018, 62-68.
2. კვირკველია, თენგიზი. *ძველთბილისური დასახელებანი*. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1985.
3. Baye, baron Joseph de. *Tiflis: souvenirs d'une mission*. Extrait de la «Revue de géographie», dirigée par M. L. Drapeyron. Paris : Edition Nilsson, 1900.
4. Bell, Georges. “Dix jours a Tiflis”, *L'illustration Journal Universel* 42, (1868) : 155-157.
5. Bell, Georges. “Dix jours a Tiflis”, *L'illustration Journal Universel* 42, (1868) : 171-172.
6. Blanchard, Pharamond. “La Georgie. – Tiflis”. *L'illustration, Journal Universel* XXX, N 765 (1857): 275-278.
7. Blanchard, Pharamond. “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”, *Le Tour Du Monde* IV (1861) : 113-128.
8. Blanchard, Pharamond. „Parazdnik sviatova crestchenia. Yordann. 6/18 janvier a Tiflis et Saint-Petersbourg“. *L'illustration, Journal Universel*, 1858, 115-118.
9. Blanchard, Pharamond. “Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)”. *Le Tour Du Monde*, II 1860.
10. Cantel, Henri. “Le Prince Domenti, scènes de la vie géorgienne”, *Revue des deux Mondes* 40 (1862) : 707-732.
11. Cantel, Henri. “Héraklés, scènes de la vie géorgienne”, *Revue des deux mondes* 46 (1863) : 451-471.
12. Carol, Jean. *Colonisation russe, les deux routes du Caucase. Notes d'un touriste*. Ouvrage contenant trente-quatre illustrations et deux cartes. Paris: Librairie Hachette et C^{ie}, 1899.
13. Chantre, Belloni. *À travers l'Arménie russe*. Ouvrage contenant 151 illustrations gravées d'après les photographies prises par M. Chantre et 2 cartes. Paris : Hachette, 1893.
14. Chantre, Ernest. *Missions scientifiques en Transcaucasie, Asie Mineure et Syrie, 1890-1894: recherches anthropologiques dans l'Asie occidentale* (Lyon: H. Georg) 1895.
15. Cholet, Armand Pierre de. *Excursion en Turkestan et sur la frontière russo-afghane par le comte de Cholet*. Paris: E. Plon, Nourrit & Cie, 1889.
16. Cotteau, Edmond. „Voyage au Caucase et en Transcaspienne: 24 juillet – 11 octobre 1887“. *Bulletin de la société de Géographie commerciale de Paris* X, (1887/1888), 388-392.
17. Dingelsted, Victor. “La population du Caucase et la ville de Tiflis”. Extraits d'une communication faite à la Société de géographie de Genève le 27 janvier 1894. *Le Globe. Revue genevoise de géographie* 33 (1894) : 61-89.

18. Drouet, Francis. *De Marseille à Moscou par le Caucase. Notes de voyage*. Rouen : Imprimerie de Espérance Cagniard, 1893.
19. Filippi, Filippo di. *Note di un viaggio nel 1862 di F. De Filippi*, di Professore di zoologia e direttore del museo zoologico; membro della R. Academia delle scienze di Torino, uno de'XL della Socoeta italiana della Scienze. Ecc, ecc. Volume unico, Milano: G.Daelli & C. Editori, 1865.
20. Freshfield, Douglas W. *Travels in the central Caucasus and Bashan*. London: Longmans, Green, & co. 1869.
21. Gille, Floriant. *Lettres sur le Caucase et la Crimée*, ouvrage enrichi de trente vignettes dessinées d'après nature, et d'une carte dressée au dépôt topographique de la guerre à St. Pétersbourg. Paris : Gide – Libraire-Éditeur, 1859.
22. Harris, Walter B. *From Batum to Baghdad Via Tiflis, Tabriz, and Persian Kurdistan*. To I H. R. H. The Prince of Wales, This Book is, by Special Permission Dedicated by The Author. Edinburgh: W. Blackwood & Sons, 1896.
23. Leclercq, Jules. *Du Caucase aux monts Alaï, Transcaspie-Boukharie – Ferganah*. Ouvrage accompagne d'une carte. Paris: E. Plon, 1890.
24. Lefèvre-Pontalis, Carle. *De Tiflis à Persépolis: Ériwan, Tabriz, Téhéran, Ispahan*. Conférence faite à Vendôme, le 23 février à Angers, le 31 mai 1894. Illustrations en phototypir d'après les photographies de Mme la Marquise De Sigy de Balloy, Jane Dieulafoy, M M. Bernay, Binder, Lefèvre-Pontalis etc., etc. Paris: Librairie, Plon, 1894.
25. Lycklama A Nijeholt, Tinco Martinus. *Voyage en Russie, au Caucase et en Perse exécuté pendant les années 1866, 1867 et 1868*. I-IV. Paris-Amsterdam: Arthus Bertrand, Libraire-Editeur C. L. Van Langenhuysen, Libraire-Editeur, 1872.
26. Koechlin-Schwartz, Alfred. *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase*. Paris: J. Hetzel & C^{ie}, Editeurs, 1881.
27. Ney, Napoléon. *En Asie Central à la vapeur : La mer Noire, la Crimée, Le Caucase, la mer Caspienne, les chemin de Fer Transcaspien, l'Asie centrale, Merv, Bokhara, Samarkand*. Notes de voyage. Preface de Pierre Véron, dessins de Dick de Longlay, avec deux cartes. Paris: Garnier Frères – Editeurs, 1888.
28. Mounsey, Augustus Henry. *A Journey through the Caucasus and the Interior of Persia*. London: Smith, Elder & Co., 1872.
29. Moynet, Jean-Pierre. "De Bakou à Tiflis 1859", Texte et dessins de M. Moynet. Le Tour du monde I, (1860) : ??;
30. Orsolle, Ernest. *Le Caucase et la Perse*. Paris: Plon, Nourrit et C^{ie}, 1885.
31. Patenôtre, Jules. "Un voyage d'hiver au Caucase – De la Mer-Noire à la Mer Caspienne", *Revue des Deux Mondes* VI (1874), 317-336.
32. Ponset, Albert. *Volga-Caucase-Géorgie. Notes de voyage*. Montpellier : Imprimerie Gustave Firmin et Montane, 1899.
33. Pontevès de Sabran, Jean de. Captain commandant au 1^{er} hussards. *Note de voyage d'un hussard — Un raid en Asie*. Avec une lettre de Frédéric Mistral et une carte de l'itinéraire. Ouvrage couronné par l'Académie Français. Paris : Calmann Lévy, 1892.
34. Sansrefus, Gaston. *De Paris à Tiflis*. Impressions de route. Préface de C. Fuster, Dessins de H. Bertaux. Paris: Ernest Flammarion, Editeur, 1897.

35. Serena, Carla. *Mon voyage ; souvenirs personnels : De la Baltique à la mer Caspienne*. Paris : Maurice Dreyfous, 1880.
36. Telfer, John Buchan. *The Crimea and Transcaucasia; being the narrative of a journey in the Kouban, in Gouria, Georgia, Armenia, Ossety, Imeritia, Swannety, and Mingrelia, and in the Tauric range*. I. London: H.S. King & Company, 1876.
37. Thielmann, Max Franz Guido von. *Streifzüge im Kaukasus, in Persien und in der Asiatischen Türkei von Freiherr Max von Thielmann*, DR. JURIS, Mit fünf Holzschnitt-Tafeln, Illustrationen im Texte und einer Uebersichtskarte. Leipzig: Verlag von Duncker & Humbolt, 1875.
38. Verne, Jules. *Claudius Bombarnac, carnet d'un reporter à l'inauguration du grand Transasiatique*. Les voyages extraordinaire. Couronnes Par l'Académie française. Paris: J. Hetze et C^{ie}, 1892.
39. Vilmorin, Auguste Lecoin de. *De Paris a Bombay par la Perse*. Illustrations d'après les photographies rapportées par auteur. Paris: Libraire de Firmin-Didot et C^{ie} imprimeurs de l'Institut, 1895.
40. [Белановский] Эмиль Франсуа Дессен. Записки о путешествии на Кавказ. Содержание номера «Наше Наследие – Культура, История, Искусство» № 108 2014. <http://www.nasledie-rus.ru/podshivka/10808.php>
41. Карапетян, Самвел. *Мэры Тифлиса (Тбилиси)*. Ереван: издательство «Гетутюн» НАН РА, 2003.



ქართველი თავადის ქალი
Georgian princess
Max von Thielmann. Streifzüge im Kaukasus. Leipzig, 1875



თბილისელი სომეხი ქალი
Belloni Chantre. À travers l'Arménie russe. Paris, 1893



PRINCE GEORGIEU. (Voyez p. 10.)

ქართველი თავადი
Georgian Prince
Jane Dieulafoy. La Perse, la Chaldée et la Susiane. Paris, 1887



Un coin du marché Maïdan.

მაიდანის ბაზრის კუთხე

A corner of the Maidan market

Géorges Bell. "Dix jours a Tiflis", L'illustration Journal Universel, 1868